არ გინდათ გამცნოთ თქვენს შორის საუკეთესოზე და თქვენს შორის ყველაზე უკეთურზე?

გადმოცემულია აბუ ჰურაირასგან (ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი), რომ შუამავალი (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) მჯდომარე ხალხს თავს დაადგა და თქვა: «არ გინდათ გამცნოთ თქვენს შორის საუკეთესოზე და თქვენს შორის ყველაზე უკეთურზე?», თქვა: გაჩუმდნენ, მოციქულმა ეს სამჯერ გაიმეორა, შემდეგ ერთმა კაცმა თქვა: დიახ, ო ალლაჰის შუამავალო, გვითხარი, ვინ არის ჩვენს შორის ყველაზე საუკეთესო და ყველაზე უკეთური, მან თქვა: «თქვენს შორის საუკეთესოა ის, ვისგანაც მოელიან სიკეთეს და თავს დაცულად გრძნობენ მისი ბოროტებისგან, თქვენს შორის ყველაზე უკეთური არის ის, ვისგანაც არ მოელიან სიკეთეს და თავს დაცულად არ გრძნობენ მისი ბოროტებისგან».

[სანდო (საჰიჰ)] [გადმოსცა ალ-თირმიზიმ]

მოციქული (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) გაჩერდა თავის მეგობრებთან, რომლებიც ისხდნენ და შეეკითხა მათ: არ გინდათ გასწავლოთ და გითხრათ ვინ არის თქვენს შორის საუკეთესო და ვინ არის ყველაზე უკეთური? მათგან არავის ხმა არ ამოუღია და არაფერი უპასუხია, რადგან შეეშინდათ მათგან საუკეთესოს და ყველაზე უკეთურის გამოკვეთის, ამიტომ ყველა გაჩუმდა. მაშინ ალლაჰის შუამავალმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) კვლავ გაიმეორა თავისი შეკითხვა სამჯერ, მათგან ერთმა კაცმა თქვა: დიახ, ო ალლაჰის შუამავალო, გვითხარი ვინ არის ჩვენს შორის ყველაზე საუკეთესო და ყველაზე უკეთური. მოციქულმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) განუმარტა მათ: რომ თქვენს შორის საუკეთესო არის ის, ვისგანაც ელოდებიან სიკეთეს, ლმობიერებას და ყურადღებას, ასევე თავს დაცულად გრძნობენ მისი ბოროტებისგან, ჩაგვრისგან, ცუდი ქმედებებისგან და უსამართლობისგან. თქვენგან ყველაზე უკეთური არის ის, ვისგანაც არ მოელიან სიკეთეს, ლმობიერებას და ყურადღებას, პირიქით, ეშინიათ მისი ჩაგვრის, ბოროტების და უსამართლობის.

http://www.sunnah.global/hadeeth/ka/show/66254